უცხო სიტყვებისა და მათი ქართული შესატყვისების გლოსარიუმი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი

2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი

უცხო სიტყვებისა და მათი ქართული შესატყვისების ტლოსარიუმი

თბილისი

2022

გლოსარიუმი შეადგინა **ქეთევან თევდორაძემ**

რედაქტორები: **თინათინ მარგალიტაძე**
გიორგი მელაძე

დამკაბადონებელი: **ირინა სიდამონიძე**

ბროშურა მომზადდა და გამოიცა
„დრესაპ ჯგუფის“ ფინანსური მხარდაჭერით

© ქეთევან თევდორაძე
© ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი

წინასიტყვაობა

სინონიმია ფართოდაა გავრცელებული ნებისმიერი ენის ლექსიკურ სისტემაში და მოცემული ენის ლექსიკურ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. სინონიმიას განმარტავენ როგორც მსგავსი ლექსიკური მნიშვნელობის სიტყვებს. ეს განმარტება ძალიან ზოგადია, თუმცა არსებობს სინონიმიის ბევრი სხვა განმარტებაც და სხვადასხვა კლასიფიკაცია, რაც ამ ლინგვისტური მოვლენის სირთულეზე მეტყველებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თავად სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობაა უაღრესად რთული, კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი.

არსებობს თუ არა აბსოლუტური, სრული სინონიმები ენაში? აბსოლუტური სინონიმია იშვიათი მოვლენაა ენაში და, უპირატესად, ტერმინოლოგიურ სინონიმებს უკავშირდება (მაგ. ლინგვისტიკა – ენათმეცნიერება). როდესაც ენაში ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად ორი ან მეტი სიტყვა ჩნდება, იწყება სინონიმური სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობის დიფერენციაციის პროცესი და სინონიმები ცნების სხვადასხვა წახნაგს, სხვადასხვა ნიუანსს გადმოსცემენ.

ენაში სინონიმური რიგების აღმოცენების ერთ-ერთი მიზეზი ნასესხობაა, რომლის შედეგადაც ენაში ჩნდება უცხო

სიტყვებისა და მშობლიური სიტყვების სინონიმური რიგები. ქართულ ენაში მრავლადაა ამ ტიპის სინონიმები: გამჭვირვალე – ტრანსპარენტული, მორწყვა – ირიგაცია, ნიჭი – ტალანტი, უარყოფითი – ნეგატიური, დადებითი – პოზიტიური, შემწყნარებლობა – ტოლერანტობა, დიდგვაროვანი – არისტოკრატი, ორენოვანი – ბილინგვური და მრავალი სხვა.

წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ ტიპის სინონიმური რიგების გლოსარიუმის შედგენა დავისახეთ მიზნად თანამედროვე ქართულ ენაში. სინონიმების შეკრების მიზნით მთლიანად დავამუშავეთ მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მესამე შევსებული გამოცემა (1989). სინონიმური რიგების გადასამოწმებლად გამოვიყენეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ არნ. ჩიქობავას საერთო რედაქტორობით (http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php). გლოსარიუმში შევიდა ყველაზე გავრცელებული უცხო სიტყვებისა და მათი ქართული შესატყვისების 750 სინონიმური რიგი, მთლიანად 1,500-ზე მეტი ლექსიკური ერთეული.

უცხო სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი მნიშვნელობა, თუმცა მისი ქართული შესატყვისი ამ უცხო სიტყვის მხოლოდ ერთ, ყველაზე გავრცელებულ მნიშვნელობას მიემართება გლოსარიუმში.

ცნობილი ფაქტია, რომ ქართულ საზოგადოებას უყვარს უცხო სიტყვების ხშირი გამოყენება. ამ პროექტზე მუშაობისას ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიზანი იყო დაგვედგინა,

თუ რამდენად უფრო ხშირად ვიყენებთ უცხო სიტყვას მის ქართულ შესატყვისთან შედარებით. კვლევა ჩავატარეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის გამოყენებით (http://gnc.gov.ge/gnc/page) და შევისწავლეთ უცხოურ-ქართული სინონიმური რიგების გამოყენების სიხშირე. სიხშირულმა ანალიზმა აჩვენა, რომ უცხო სიტყვების გამოყენება ბევრად აღემატება მათი ქართული შესატყვისების ხმარებას. კერძოდ, გაანალიზებული სინონიმური რიგების 76%-ის შემთხვევაში უფრო ხშირია უცხო სიტყვების გამოყენება, ვიდრე მათი ქართული ეკვივალენტებისა.

ჩვენი კვლევის ეს შედეგი, გარკვეულწილად, იქცა კიდევაც სტიმულად შეგვედგინა ასეთი სინონიმების გლოსარიუმი, რათა უცხო სიტყვებთან ერთად, ხელი შევუწყოთ მათი ქართული შესატყვისების გამოყენების გააქტიურებას. ეს, ჩვენი აზრით, სტილისტური თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია, რადგან ჩვენს მეტყველებას თუ წერას უფრო მრავალფეროვანსა და ლექსიკურად მდიდარს გახდის.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ბროშურის სპონსორს „დრესაპ ჯგუფს“, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრთან“ და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართულ ენასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებაში.

თინათინ მარგალიტაძე
ქეთევან თევდორაძე

ა

აბდომენი – მუცელი;

აბერაცია – გადახრა;

აბლაუტი – ხმოვანთმონაცვლეობა;

აბოლიცია – გაუქმება, მოსპობა;

აბსოლუტური – სრული;

აბსორბენტი – შთამნთქმელი;

აბსტრაქტული – განყენებული;

აბსურდი – უაზრობა;

აბსურდული – უაზრო;

აბსცესი – ჩირქგროვა;

აგამია – დაუქორწინებლობა;

აგრარული – სასოფლო-სამეურნეო, მიწათმოქმედებისა;

აგრესია – შეიარაღებული თავდასხმა;

აგრესიული – თავდასხმითი, დაპყრობითი;

აგრესორი – დამპყრობელი;

ადაპტაცია – შეგუება, შეჩვევა;

ადაპტერი – გადამყვანი;

ადეკვატური – შესაბამისი;

ადვერბი – ზმნისართი;

ადვერბული/ადვერბიალური – ზმნისართული;

ადინამია – სისუსტე, უძლურება;

ადიულტერი – ცოლქმრული ღალატი;

ადმინისტრატორი – მმართველი;

ადმინისტრირება – მართვა;

ადრესატი – მიმღები;

აერაცია – განიავება;

აერონავტი – ჰაერნაოსანი;

აერონავტიკა – ჰაერნაოსნობა;

ავთენტიკური – სარწმუნო, ნამდვილი;

ავთენტიკურობა – სარწმუნოობა, ნამდვილობა;

ავტოკეფალია – თვითმწყსობა;

ავტოკრატი – თვითმპყრობელი;

ავტოკრატია – თვითმპყრობელობა;

ავტონომია – თვითმმართველობა;

ავტონომიური – თვითმმართველი;

აიაზმა – ნაკურთხი წყალი;

აკუზატივი – ბრალდებითი ბრუნვა;

ალვეოლები – ნუნები;

ალვეოლარული – ნუნისმიერი;

ალიანსი – კავშირი, გაერთიანება;

ალკოჰოლიზმი – ლოთობა;

ალკოჰოლიკი – ლოთი;

ალპინიზმი – მთამსვლელობა;

ალპინისტი – მთამსვლელი;

ალპური – მაღალმთიანი;

ალფაბეტი – ანბანი;

ალფაბეტური – ანბანური;

ამბიცია – პატივმოყვარეობა;

ამელიორაცია – გაუმჯობესება;

ამნეზია – მეხსიერების დაკარგვა;

ამორალური – უზნეო;

ამპუტაცია – მოკვეთა;

ანათემა – შეჩვენება, ეკლესიისაგან განკვეთა;

ანალები – მატიანე;

ანალოგია – მსგავსება;

ანალოგიური – მსგავსი;

ანამნეზი – ავადმყოფობის ისტორია;

ანაქორეტი – განდეგილი, მეუდაბნოე;

ანემია – სისხლნაკლებობა;

ანესთეზია – გაუტკივარება;

ანექსია – ტერიტორიის ძალით მიტაცება / დაპყრობა;

ანონიმი – უსახელო;

ანონიმური – უსახელო, ხელმოუწერელი;

ანტაგონიზმი – შეურიგებელი წინააღმდეგობა;

ანტიკვარული – ძველებური, იშვიათი;

ანტიპათია – არაკეთილგანწყობა, სიძულვილი, ზიზღი;

ანტისანიტარია – უსუფთაობა, სიბინძურე;

აპათია – გულგრილობა, უხალისობა;

აპლოდისმენტი – ტაში, ტაშისკვრა;

აპოლოგეტი – დამცველი, მომხრე, მხარდამჭერი, დამქაში;

აჟიოტაჟი – დიდი მღელვარება, აურზაური;

არაკომფორტული – არამყუდრო, მოუხერხებელი;

არენდა – იჯარა;

არენდატორი – მოიჯარე;

არისტოკრატი – დიდგვაროვანი;

არისტოკრატია – დიდგვაროვნები;

არკა – თაღი;

არკადა – თაღედი;

არმია – ჯარი;

არომატი – კეთილსურნელება;

არომატული – (კეთილ)სურნელოვანი;

არტისტი – მსახიობი;

არქაიზმი – მოძველებული სიტყვა / გამოთქმა;

არქაული – ძველი, ძველებური;

არქიტექტორი – ხუროთმოძღვარი;

არქიტექტურა – ხუროთმოძღვრება;

ასისტენტი – თანაშემწე, დამხმარე;

აუდიტორია – მსმენელები;

აფიშირება – საჯაროდ / საქვეყნოდ გატანა; ფართოდ გახმაურება;

აქრომატიზმი – უფერულობა;

აქსიომა – თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება / დებულება;

აქსიომური – თავისთავად ცხადი, უდავო;

აქტივაცია – ამოქმედება;

აქტიორი – მსახიობი;

აქტრისა – მსახიობი ქალი;

აქტუალური – საჭირბოროტო.

ბ

ბაკი – ავზი;

ბალანსი – წონასწორობა;

ბალანსირება – წონასწორობის დაცვა;

ბალასტი – ზედმეტი / უსარგებლო რამ;

ბანალური – გაცვეთილი;

ბანკეტი – საზეიმო წვეულება;

ბარბაროსი – ველური;

ბარიერი – ზღუდე, დაბრკოლება;

ბარტერი – საქონელგაცვლა;

ბასტიონი – ბურჯი, საყრდენი;

ბატალია – ბრძოლა;

ბენეფიციარი – მოსარგებლე;

ბეჟი – ბაცი ყავისფერი; ჩალისფერი;

ბიზნესი – სამეწარმეო საქმიანობა;

ბიზნესმენი – მეწარმე, საქმიანი წრეების წარმომადგენელი;

ბილაბიალური – წყვილბაგისმიერი;

ბილატერალური – ორმხრივი;

ბილინგვიზმი – ორენოვნება;

ბილინგვური – ორენოვანი;

ბორდიური – არშია;

ბორდო – ღვინისფერი, შინდისფერი;

ბოსი – უფროსი;

ბოქსი – კრივი;

ბოქსიორი – მოკრივე;

ბრასლეტი – სამაჯური;

ბუკეტი – თაიგული;

ბულვარი – ხეივანი;

ბუფეტი – სასაუზმე, პატარა სასადილო.

გ

გაზი – აირი;

გალანტური – თავაზიანი, ზრდილობიანი;

გარანტი – თავდები;

გენეალოგია – წარმომავლობა;

გენეზისი – წარმოშობა, წარმოქმნა;

გენერალიზაცია – განზოგადება;

გენერალური – მთავარი, ძირითადი;

გენიტივი – ნათესაობითი ბრუნვა;

გენია – უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი;

გიგანტური – ძალიან დიდი, უზარმაზარი;

გიდი – მეგზური, გზის მაჩვენებელი;

გიმნასტი – ტანმოვარჯიშე;

გიმნასტიკა – ტანვარჯიში;

გირლანდა – ყვავილწნული;

გლობალური – საყოველთაო, მსოფლიო;

გლოსარიუმი – სიტყვარი;

გრანდიოზული – დიდი, ვეებერთელა, უზარმაზარი;

გრაფიკი – ცხრილი, განრიგი;

გრაციოზული – ნარნარი, მოხდენილი;

გრაციოზულობა – სინარნარე, მოხდენილობა;

გროსმაისტერი – დიდოსტატი;

გრუნტი – მიწა, ნიადაგი.

დ

დაბალანსება – გაწონასწორება;

დატივი – მიცემითი ბრუნვა;

დებატები – კამათი, პაექრობა;

დებილი – გონებასუსტი ადამიანი, სულელი, რეგვენი;

დებიტორი – მოვალე;

დებოში – აყალმაყალი, აურზაური;

დეგენერატი – უჭკუო, გამოთაყვანებული, ჩერჩეტი, ყეყეჩი;

დეგრადაცია – დაქვეითება, დაცემა, გადაგვარება;

დეგუსტაცია – გემოს გასინჯვა, დაჭაშნიკება;

დეზინტეგრაცია – დაშლა, დანაწევრება;

დეზინფორმაცია – ყალბი ცნობები;

დეკადა – ათი დღე;

დეკლამაცია – მხატვრული კითხვა;

დელიკატური – თავაზიანი, ზრდილობიანი;

დემილიტარიზაცია – განიარაღება;

დემონი – ავი სული, ეშმაკი;

დემონსტრაციული – გამომწვევი;

დემონური – ავი, ბოროტი, ვერაგი;

დემორალიზაცია – ზნეობრივი გახრწნა, სულით დაცემა;

დემორალიზებული – ზნეობრივად გახრწნილი, სულით დაცემული;

დენტალური – კბილისმიერი;

დეპარტამენტი – განყოფილება;

დერმატოლოგი – კანის ექიმი;

დესკრიფციული – აღწერითი;

დესპოტი – მტარვალი;

დესპოტიზმი – შეუზღუდველი მმართველობა;

დეტალური – დაწვრილებითი, გამოწვლილვითი;

დეტერმინირება – განსაზღვრა, განპირობება;

დეტექტივი – გამომძიებელი;

დეფექტი – ნაკლი, ნაკლოვანება, ზადი, ხარვეზი;

დეფინიცია – განსაზღვრება, განმარტება;

დეფიციტი – ნაკლებობა;

დიაბეტი – შაქრის ავადმყოფობა;

დიარეა – ფაღარათი;

დიგიტალური – ციფრული;

დიდაქტიზმი – ჭკუის დამრიგებლობა;

დიდაქტიკური – დამრიგებლობითი;

დივერსიფიკაცია – გამრავალფეროვნება;

დითირამბი – გადაჭარბებული შექება, დიდება, ხოტბა;

დილეტანტი – ზერელე მცოდნე, მოყვარული;

დისკომფორტი – უხერხულობა;

დისკრედიტაცია – სახელის გატეხა, შერცხვენა;

დისკრიმინაცია – უფლებების შეზღუდვა; ჩაგვრა;

დისკუსია – კამათი, პაექრობა;

დისტანცია – მანძილი;

დისტილაცია – გამოხდა;

დისციპლინა – ცოდნის / მეცნიერების დარგი; სასწავლო საგანი;

დიფერენციაცია – გამიჯვნა, განსხვავება;

დიქტი – ფირფიცარი;

დოკუმენტი – საბუთი;

დოკუმენტაცია – საბუთები;

დრაკონული – მკაცრი, ულმობელი;

დუბლიკატი – ასლი;

დუელი – ორთაბრძოლა.

ე

ეგზალტირებული – უკიდურესად აგზნებული / აღფრთოვანებული;

ეგოიზმი – თავკერძობა;

ეგოისტი – თავკერძა;

ევოლუცია – განვითარება;

ევქარისტია – ზიარება;

ეზოტერიკული – საიდუმლო, დაფარული; განდობილთათვის განკუთვნილი;

ეიფორია – აგზნებულობა;

ეკონომია – მომჭირნეობა;

ელასტიკური – დრეკადი, მოქნილი;

ელეგანტური – მოხდენილი, კოხტა;

ელემენტარული – დაწყებითი, მარტივი;

ელიტა – რჩეული საზოგადოება;

ემალი – მინანქარი;

ემანსიპაცია – განთავისუფლება, უფლებრივად გათანასწორება;

ემბრიონი – ჩანასახი;

ემიგრაცია – ახალ ადგილას გადასახლება;

ემოცია – განცდა, გრძნობა;

ემპირიული – ცდისეული;

ენდემური – ადგილობრივი;

ენიგმატური – საიდუმლოებით მოცული, გამოუცნობელი;

ენოლოგი – ღვინოთმცოდნე;

ენოლოგია – ღვინოთმცოდნეობა;

ეპიგრაფიკა – წარწერათმცოდნეობა;

ეპილაცია – თმის მოცილება;

ეპილეფსია – ბნედა, ავი ზნე;

ეპისტოლე – წერილი; მიმართვა;

ეპოქა – ხანა;

ერგატივი – მოთხრობითი ბრუნვა;

ერესი – მწვალებლობა;

ერუდიცია – განსწავლულობა, მრავალმხრივი ცოდნა;

ესე – ნარკვევი;

ესკალაცია – გამწვავება;

ესკიზი – წინასწარი მონახაზი;

ექსპრესია – გამომსახველობა;

ექსპრესიული – გამომსახველობითი;

ექსპრომტად – მოუმზადებელად, სახელდახელოდ;

ექსცენტრული – ახირებული, მეტისმეტად უცნაური;

ექსცესი – გამოხდომა.

З

ვაგზალი – სადგური;

ვაზა – ლარნაკი;

ველარული – უკანაენისმიერი;

ვენტილაცია – განიავება, ჰაერის გაწმენდა;

ვერბალური – სიტყვიერი, ზეპირი;

ვერდიქტი – განაჩენი;

ვერიფიკაცია – დადასტურება, დამოწმება;

ვერლიბრი – თავისუფალი ლექსი;

ვერსიფიკაცია – ლექსთწყობა;

ვერტიკალური – შვეული;

ვიბრაცია – რხევა;

ვიზიტი – სტუმრობა;

ვიტალური – სასიცოცხლო;

ვიტიკულტურა – მევენახეობა;

ვოიაჟი – მოგზაურობა;

ვოკალიზმი – ხმოვანთა სისტემა;

ვოკალისტი – პროფესიონალი მომღერალი;

ვოლონტიორი – მოხალისე;

ვულგარული – უხამსი, მდაბიო, უგვანი.

თ

თეზისი – დებულება;

თეოლოგი – ღვთისმეტყველი;

თეოლოგია – ღვთისმეტყველება;

თერმული – სითბური;

თორაქსი – გულმკერდი.

ი

იგნორირება – უგულებელყოფა;

იდეა – აზრი, თვალსაზრისი, შეხედულება;

იდეალური – საუკეთესო, სრულყოფილი, საუცხოო;

იდენტიფიკაცია – ამოცნობა;

იდენტური – მსგავსი, ერთნაირი;

იდილია – მყუდრო / უშფოთველი ცხოვრება;

იდილიური – უშფოთველი, აუმღვრეველი;

იდიოტი – სულელი, ყეყეჩი, რეგვენი;

იდიოტიზმი – სისულელე, რეგვნობა;

იზოლაცია – ცალკე გამოყოფა, გამიჯვნა;

ილუზია – განუხორციელებელი იმედი / ოცნება;

ილუზორული – მოჩვენებითი;

იმბეცილი – გონებასუსტი ადამინი;

იმბეცილობა – გონებრივი სისუსტე;

იმეილი – ელფოსტა;

იმიტაცია – მიბაძვა, მიმსგავსება;

იმპერატიული – ბრძანებითი;

იმპერსონალური – უპირო;

იმპოტენტი – ცვედანი;

იმპოტენცია – ცვედნობა, სქესობრივი უძლურება;

ინდიკატივი – თხრობითი კილო;

ინდიკატორი – მაჩვენებელი;

ინდუსტრიული – სამრეწველო;

ინერტული – უმოძრაო, უმოქმედო, დუნე, უსიცოცხლო;

ინიციატივა – თაოსნობა;

ინიციატორი – წამომწყები, მოთავე;

ინსინუატორი – ცილისმწამებელი;

ინსინუაცია – ცილისწამება;

ინსპექცია – დათვალიერება;

ინსპირატორი – წამქეზებელი;

ინსპირაცია – შთაგონება;

ინსპირირებული – წაქეზებული;

ინოვაცია – სიახლე;

ინტელექტი – გონება, ჭკუა;

ინტენსიური – დაძაბული, გაძლიერებული;

ინტერნაციონალური – საერთაშორისო;

ინტროსპექცია – თვითდაკვირვება;

ინტუიცია – ალღო;

ინცესტი – სისხლის აღრევა;

ინციდენტი – უსიამოვნო შემთხვევა;

ირიგაცია – მორწყვა;

ირონიზება – გამასხარავება, დაცინვა;

იუველირი – ოქრომჭედელი;

იურისპრუდენცია – სამართლისმცოდნეობა.

3

კაზინო – სამორინე;

კანდიდატი – მსურველი, განმცხადებელი;

კარდიოლოგი – გულის ექიმი;

კარცინომა – ავთვისებიანი სიმსივნე, კიბო;

კასტინგი – შერჩევა;

კვალიტატიური – თვისებრივი;

კვალიფიციური – მცოდნე, დახელოვნებული, დაოსტატებული;

კვანტიტატიური – რაოდენობრივი;

კლასიფიცირება – დახარისხება;

კლიენტი – მომხმარებელი;

კლიმატი – ჰავა;

კლინიკა – საავადმყოფო;

კლოუნი – მასხარა, ჯამბაზი;

კოლოსალური – ძალიან დიდი, უზარმაზარი;

კომენტარი – ახსნა, განმარტება, ახსნა-განმარტება;

კომპენსაცია – ანაზღაურება;

კომპენსირებული – ანაზღაურებული;

კომუნიკაცია – კავშირი;

კომპლიმენტი – ქათინაური;

კომფორტი – სიმყუდროვე; კეთილმოწყობილობა;

კომფორტული – მყუდრო, მოხერხებული, კეთილმოწყობილი;

კონსოლიდაცია – გაერთიანება;

კონსონანტი – თანხმოვანი ბგერა;

კონსონანტიზმი – თანხმოვანთა სისტემა;

კონსპირატორი – შეთქმული;

კონსპირაცია – შეთქმულება;

კონსულტანტი – მრჩეველი;

კონსულტაცია – რჩევა, მოთათბირება;

კონტრასტი – დიდი სხვაობა;

კონტრაქტი – ხელშეკრულება, შეთანხმება;

კონტრაცეპტივი – ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება;

კონტროლი – ზედამხედველობა, მეთვალყურეობა, შემოწმება;

კონფესია – აღმსარებლობა, სარწმუნოება, რჯული;

კონფიდენციალური – საიდუმლო;

კონფისკაცია – ქონების ჩამორთმევა;

კონფლიქტი – უთანხმოება, განხეთქილება;

კონფრონტაცია – ურთიერთდაპირისპირება, ურთიერთწინააღდეგობა;

კორესპონდენცია – მიმოწერა;

კორექტივი – გასწორება, შესწორება;

კორექტირება – შესწორების შეტანა;

კორექტული – ზრდილობიანი, თავაზიანი;

კორიდორი – დერეფანი, ტალანი;

კორონაცია – გვირგვინის დადგმა, მეფედ კურთხევა;

კორპორაცია – გაერთიანება, კავშირი;

კორტი – ჩოგბურის სათამაშო მოედანი;

კორუმპირებული – მექრთამე;

კორუფცია – მექრთამეობა;

კრახი – სრული მარცხი;

კრედიტი – ვალი;

კრედიტორი – მევალე;

კრედო – მრწამსი, რწმენა, მსოფლმხედველობა;

კრისტალური – უმწიკვლო, სპეტაკი;

კრუიზი – საზღვაო მოგზაურობა;

კურიოზული – უცნაური, სასაცილო.

ლ

ლაბიალური – ბაგისმიერი;

ლაბილური – არამტკიცე, არამდგრადი, მერყევი;

ლარინგალური – ხორხისმიერი;

ლარინგოლოგი – ყელის ექიმი;

ლატენტური – გამოუმჟღავნებელი, ფარული;

ლატერალური – გვერდითი;

ლაფსუსი – უნებლიე შეცდომა;

ლეგალიზაცია – კანონიერად მიჩნევა;

ლეგალური – კანონით აღიარებული, ნებადართული;

ლეგიტიმაცია – დაკანონება;

ლეგიტიმური – კანონიერი, სამართლიანი;

ლეტალური – სასიკვდილო, სიკვდილის გამომწვევი;

ლიკვიდაცია – დახურვა, გაუქმება; მოსპობა, განადგურება;

ლიმიტი – ზღვრული ნორმა;

ლიმიტირება – ზღვრული ნორმის დაწესება;

ლინგვისტი – ენათმეცნიერი;

ლინგვისტიკა – ენათმეცნიერება;

ლიპომა – ცხიმოვანა;

ლოგიკური – თანამიმდევრული, დასაბუთებული;

ლოიალური – ერთგული;

ლოკალიზაცია – შემოფარგვლა;

ლოკალური – ადგილობრივი;

ლოკატივი – ადგილობრივი ბრუნვა;

ლუნატიკი – მთვარეული.

მ

მაგია – ჯადოქრობა, მისნობა;

მაგისტრალური – მთავარი, ძირითადი;

მაგიური – ჯადოქრული, ჯადოსნური, მისნური;

მალარია – ციება, ციებ-ცხელება;

მანერული – ხელოვნური, არაბუნებრივი;

მანუსკრიპტი – ხელნაწერი;

მატერია – ქსოვილი;

მატრიმონიული – ქორწინებისა, ცოლქმრობასთან დაკავშირებული;

მაქსიმალიზმი – სრულყოფილებისკენ სწრაფვა;

მაქსიმალური – უდიდესი;

მეგალომანია – განდიდებისკენ სწრაფვა;

მედიატორი – მომრიგებელი, შუამავალი;

მედიკამენტი – წამალი;

მედიკოსი – ექიმი;

მეთოდი – ხერხი, წესი;

მელანქოლია – ნაღვლიანობა, სევდა, კაეშანი;

მელოდია – ჰანგი, კილო;

მენეჯერი – მმართველი, ხელმძღვანელი;

მენეჯმენტი – მართვა, მმართველობა, ხელმძღვანელობა;

მენტალიტეტი – აზროვნება; მსოფლაღქმა, მსოფლმხედველობა;

მენტალობა – აზროვნება; მსოფლაღქმა, მსოფლმხედველობა;

მენტალური – აზროვნებითი, გონებრივი;

მენტორული – დამრიგებლური;

მერკანტილიზმი – წვრილმანი ანგარიშიანობა;

მერკანტილური – ვაჭრული, ანგარებიანი;

მესიჯი – შეტყობინება;

მეტალი – ლითონი;

მეტამორფოზი – სახეცვალება, გარდაქმნა, გარდაქცევა;

მიზანთროპი – კაცთმოძულე;

მიზანთროპია – კაცთმოძულეობა;

მინიმალური – უმცირესი;

მინორული – ნაღვლიანი, კაეშნიანი;

მინუსი – უარყოფითი მხარე, ნაკლი;

მიოპია – ახლომხედველობა;

მირაჟი – მოჩვენებითი რამ;

მობილური – მოძრავი;

მოდელი – ნიმუში;

მოდიფიკაცია – ცვლილება, სახეცვლილება;

მომენტალური – ძალიან სწრაფი, მყისიერი;

მომენტალურად – მყისვე, მყისიერად, დაუყოვნებ-
ლივ;

მონიტორინგი – მეთვალყურეობა,ზედამხედველობა;

მონოგამია – ერთქორწინება;

მონოთეიზმი – ერთღმერთობა;

მონოტონური – ერთფეროვანი, მოსაწყენი;

მორალი – ზნეობა;

მორალური – ზნეობრივი;

მოსკიტი – კოღო;

მოტორი – ძრავა;

მულტილინგვური – მრავალენოვანი.

ნ

ნავიგაცია – ნაოსნობა, ზღვაოსნობა;

ნაზალური – ცხვირისმიერი;

ნატურალისტი – ბუნებისმეტყველი;

ნატურალური – ბუნებრივი;

ნაცია – ერი;

ნაციონალური – ეროვნული;

ნეგატიური – უარყოფითი;

ნიველირება – გათანაბრება;

ნომინატივი – სახელობითი ბრუნვა;

ნომინაცია – სახელდება;

ნონსენსი – უაზრობა, სისულელე;

ნუტრიცია – ჯანსაღი კვება.

ო

ობიექტური – მიუდგომელი, მიუკერძოებელი;

ოდიოზური – მეტისმეტად უსიამოვნო / მიუღებელი;

ოკულისტი – თვალის ექიმი;

ონომატოპეა – ხმაბაძვითი სიტყვები;

ოპონენტი – მოწინააღმდეგე, მოკამათე;

ოპტატივი – ნატვრითი კილო;

ოპტიმალური – ყველაზე ხელსაყრელი / შესაფერი;

ოპტიმიზმი – იმედიანობა, მომავლის რწმენა;

ორანჟერეა – სათბური;

ორატორი – მჭევრმეტყველი;

ორდინარული – ჩვეულებრივი;

ორთოგრაფია – მართლწერა;

ორიგინალი – დედანი;

ორიენტალისტი – აღმოსავლეთმცოდნე;

ორიენტალისტიკა – აღმოსავლეთმცოდნეობა;

ორნამენტი – ჩუქურთმა;

ოტელი – სასტუმრო;

ოტოლარინგოლოგი – ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი;

ოტორინოლარინგოლოგი – ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი;

ოფთალმოლოგი – თვალის ექიმი;

ოფიციანტი – მიმტანი.

პ

პაბი – ლუდხანა;

პალატალური – სასისმიერი;

პალეოგრაფია – დამწერლობათმცოდნეობა;

პარადი – აღლუმი;

პარაზიტი – მუქთახორა;

პარაზიტობა – მუქთახორობა;

პარალელურად – ერთდროულად;

პარკინგი – ავტოსადგომი;

პაროდია – მიბაძვა;

პასიური – უმოქმედო;

პატრიარქალური – დრომოჭმული;

პედანტი – ასოკირკიტა;

პერიოდი – ხანა;

პერიოდულად – დროდადრო, დროგამოშვებით;

პერიფერია – განაპირა მხარე;

პერმანენტული – მუდმივი;

პერსონა – პირი, პიროვნება;

პერსონალური – პირადი;

პერსონაჟი – მოქმედი პირი;

პერსონიფიკაცია – გაპიროვნება;

პესიმიზმი – გულგატეხილობა, უიმედობა;

პიედესტალი – კვარცხლბეკი;

პიკი – მწვერვალი;

პიკანტური – მაცდუნებელი, მიმზიდველი;

პიკული – მწნილი;

პილიგრიმი – მომლოცველი;

პილოტი – მფრინავი;

პირატი – მეკობრე;

პლასტი – ფენა, შრე;

პლატო – ზეგანი;

პლატფორმა – ბაქანი;

პლაცენტა – მომყოლი;

პლებისციტი – საერთო-სახალხო კენჭისყრა;

პლუსი – დადებითი მხარე;

პნევმონია – ფილტვების ანთება;

პოზიტიური – დადებითი;

პოზიცია – თვალსაზრისი, დამოკიდებულება;

პოლარული – სრულიად საწინააღმდეგო / საპირის-
პირო;

პოლემიკა – პაექრობა;

პოლიგამია – მრავალქორწინება;

პოლითეიზმი – მრავალღმერთობა;

პოლიპერსონალიზმი – მრავალპირიანობა;

პოლისემია – მრავალმნიშვნელობიანობა;

პოლიფონია – მრავალხმიანობა;

პოლო – ცხენბურთი;

პომადა – ტუჩსაცხი;

პოპულარული – ცნობილი;

პორტი – ნავსადგური;

პორფირი – ძოწეული;

პოსტი – თანამდებობა;

პოტენციალი – შესაძლებლობა, უნარი;

პრაქტიკა – გამოცდილება;

პრედიკატი – შემასმენელი;

პრევენციული – თავიდან ასაცილებელი;

პრეზენსი – აწმყო;

პრეზენტაბელური – წარმოსადეგი;

პრეზენტაცია – წარდგენა, წარდგინება;

პრემია – ჯილდო;

პრემიერა – პირველი წარმოდგენა;

პრეტენზია – საჩივარი, უკმაყოფილება;

პრეტერიტი – ნამყო;

პრეფიქსი – თავსართი;

პრივატული – კერძო, პირადი;

პრივილეგია – უპირატესობა;

პრიზი – ჯილდო;

პრინცი – უფლისწული;

პროგრესი – წინსვლა, აღმავლობა;

პროგრესული – მოწინავე;

პროდუქტიული – ნაყოფიერი;

პროვაიდერი – მიმწოდებელი;

პროვოკატორი – წამქეზებელი;

პრონონსი – წარმოთქმა;

პროპორცია – თანაფარდობა;

პროსპექტი – გამზირი;

პროტესტი – უკმაყოფილება;

პროფილი – განხრა;

პროცენტი – სარგებელი;

პუბლიკა – საზოგადოება, ხალხი;

პუბლიკაცია – ნაშრომი;

პუდრი – ფხვნილი.

რ

რაფინირებული – დახვეწილი, ნატიფი;

რაციონალური – გონივრული, მიზანშეწონილი;

რეაგირება – გამოხმაურება;

რეალიზაცია – განხორციელება;

რეაქცია – საპასუხო ქმედება;

რეგენერაცია – აღდგენა;

რეგიონი – მხარე, ოლქი;

რეგისტრაცია – ჩაწერა;

რეგრესი – უკუსვლა, დაქვეითება;

რეგულაციები – წესები;

რედუპლიკაცია – გაორმაგება;

რედუქცია – შემცირება, შესუსტება;

რეესტრი – სია, ნუსხა;

რევანში – სამაგიეროს გადახდა / მიზღვა;

რეზერვი – მარაგი;

რეზულტატი – შედეგი;

რეკეტი – გამოძალვა;

რეკრუტი – წვევამდელი, ახალწვეული;

რელატიური – შეფარდებითი, მიმართებითი;

რელაქსაცია – მოდუნება;

რელევანტური – შესაბამისი, შესაფერისი;

რემარკა – შენიშვნა, მინაწერი;

რენესანსი – აყვავება, აღორძინება;

რენტა – ქირა;

რენტაბელური – შემოსავლიანი, მომგებიანი;

რეორგანიზაცია – გადაკეთება, გარდაქმნა;

რეპეტიტორი – კერძო მასწავლებელი;

რეპლიკა – წამოძახილი;

რეპრეზენტაციული – წარმომადგენლობითი;

რეპტილია – ქვეწარმავალი;

რეპუტაცია – სახელი;

რესპექტაბელური – პატივსაცემი, დასაფასებელი;

რესპირაცია – სუნთქვა;

რესტავრაცია – აღდგენა;

რეტროგრადი – ჩამორჩენილი;

რეფერი – მსაჯი;

რეფორმა – გარდაქმნა, შეცვლა;

რეფრენი – მისამღერი;

რეცეპტი – დამზადების წესი;

რინიტი – სურდო;

რისკი – საშიშროება, საფრთხე;

რიტმული – თანაბარზომიერი;

რიუკზაკი – ზურგჩანთა;

რომანტიზაცია – გაიდეალება;

რომანტიკოსი – მეოცნებე;

რუბრიკა – ქვეგანყოფილება;

რურალური – სოფლისა, სოფლური.

ს

სადემონსტრაციო – საჩვენებელი;

სატანა – ეშმაკი;

სენტენცია – ზნეობრივი დარიგება;

სერვისი – მომსახურება;

სერვის-პროვაიდერი – მომსახურების მიმწოდებელი;

სერტიფიკატი – მოწმობა;

სილაბური – მარცვლოვანი;

სიმბოლო – ნიშანი;

სიმპათიური – მიმზიდველი, სასიამოვნო, სანდომიანი;

სიმპტომატური – ნიშანდობლივი;

სინოლოგი – ჩინეთმცოდნე;

სინოლოგია – ჩინეთმცოდნეობა;

სინქრონული – ერთდროული;

სისტემატური – მუდმივი, განუწყვეტელი;

სიტუაცია – გარემოება, ვითარება, მდგომარეობა;

სკაბრეზული – უხამსი, უწმაწური;

სკანდალი – აურზაური, აყალმაყალი, ჩხუბი;

სკანდალისტი – ჩხუბისთავი;

სკვერი – პატარა ბაღი;

სკრუპულოზური – დაწვრილებითი, გამოწვლილვითი;

სკულპტორი – მოქანდაკე;

სკულპტურა – ქანდაკება;

სოლიდარული – ერთსულოვანი, თანამგრძნობი;

სორტირება – დახარისხება;

სოციალური – საზოგადოებრივი;

სპაზმი – კრუნჩხვა;

სპეციალური – განსაკუთრებული, საგანგებო;

სპეციფიკა – თავისებურებანი;

სპეციფიკური – თავისებური, განსაკუთრებული;

სტაბილური – მტკიცე, მყარი, მდგრადი;

სტიმული – ბიძგი;

სტიმულირება – ბიძგის მიცემა;

სტიუარდი – ბორტგამყოლი, ბორტგამცილებელი;

სტიუარდესა – ბორტგამყოლი, ბორტგამცილებელი ქალი;

სტომატოლოგი – კბილის ექიმი;

სტრატეგია – მოქმედების გეგმა;

სტრუქტურა – აგებულება, აღნაგობა, წყობა;

სტუდია – სახელოსნო;

სუბორდინაცია – დაქვემდებარება;

სუბსტიტუტი – შემცვლელი;

სუვენირი – სახსოვარი, სამახსოვრო ნივთი;

სუვერენი – გვირგვინოსანი, მეფე, ხელმწიფე;

სუვერენული – დამოუკიდებელი;

სუიციდი – თვითმკვლელობა;

სუფიქსი – ბოლოსართი;

სუფლიორი – მოკარნახე.

ტ

ტაბლეტი – აბი;

ტალანტი – ნიჭი;

ტენდენციური – ცალმხრივი, მიკერძოებული;

ტერორიზება – დაშინება, შეშინება;

ტიტანური – უზარმაზარი, მეტისმეტად დიდი;

ტოლერანტობა – შემწყნარებლობა;

ტოლერანტული – შემწყნარებლური, შემწყნარებელი;

ტოტალური – ყოვლისმომცველი, საყოველთაო, სრული;

ტოქსიკური – შხამიანი, მომწამვლელი;

ტრაგიკული – საშინელი, შემაძრწუნებელი;

ტრადიცია – ადათი, წესი;

ტრანსპარენტული – გამჭვირვალე;

ტრანსპლანტაცია – გადანერგვა;

ტრანსპორტირება – გადატანა, გადაზიდვა;

ტრანსფორმაცია – გარდაქმნა, გადაქცევა;

ტრენერი – მწვრთნელი;

ტრივიალური – გაცვეთილი;

ტრიუკი – ოინი, ფანდი, ხრიკი;

ტრიუმფი – დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯ-
ვება;

ტროსი – ბაგირი, გვარლი;

ტროფეი – ნადავლი;

ტუბერკულოზი – ჭლექი;

ტურნირი – შეჯიბრება.

უ

უნივერსალური – საყოველთაო, ყოვლისმომცველი;

უნიტარული – მთლიანი, ერთიანი;

ურბანული – ქალაქისა, ქალაქური;

უტილიზაცია – ნარჩენების გამოყენება / გადამუშავება;

უტილიტარული – პრაქტიკული, გამოყენებითი;

უტოპიური – განუხორციელებელი.

ფ

ფავორი – კეთილგანწყობილება, მფარველობა;

ფავორიტი – რჩეული;

ფაკულტატიური – არასავალდებულო, არჩევითი;

ფალსიფიკატორი – გამყალბებელი;

ფალსიფიკაცია – გაყალბება;

ფამილიარული – მოურიდებელი, უბოდიშო;

ფანატიზმი – ბრმადმორწმუნეობა;

ფანატიკოსი – ბრმადმორწმუნე;

ფანტაზიორი – მეოცნებე;

ფანფარონი – მკვეხარა, ტრაბახა, ბაქია;

ფარმაკოლოგია – წამალთმცოდნეობა;

ფატალური – საბედისწერო;

ფენომენალური – არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული;

ფიასკო – კრახი, სრული მარცხი;

ფიგურალური – იგავური, ქარაგმული, ხატოვანი;

ფიგურისტი – მოციგურავე;

ფილანთროპი – ქველმოქმედი, კაცთმოყვარე;

ფილანთროპია – ქველმოქმედება, კაცთმოყვარეობა;

ფინალური – დასკვნითი, საბოლოო;

ფისკალური – სახაზინო;

ფიქსაცია – დამაგრება;

ფიქცია – მოგონილი / შეთხზული რამ;

ფიქციური – არანამდვილი, ყალბი, მოსაჩვენებელი;

ფლეგმატური – გულგრილი, აუღელვებელი;

ფლუქტუაცია – მერყეობა;

ფოკუსირება – ყურადღების გამახვილება;

ფოლდერი – საქაღალდე;

ფოლკლორი – ზეპირსიტყვიერება;

ფორმირება – ჩამოყალიბება, შექმნა;

ფორტუნა – ბედნიერი შემთხვევა, იღბალი, ბედი;

ფსევდო- – ცრუ, ყალბი;

ფუნდამენტი – საძირკველი, საფუძველი;

ფუნდამენტური – ძირითადი, მთავარი;

ფუტლარი – ბუდე.

შ

შეფი – ხელმძღვანელი, უფროსი;

შვეიცარი – მეკარე;

შოკირება – გაოგნება;

შოკისმომგვრელი – გამაოგნებელი;

შოსე – გზატკეცილი;

შოფერი – მძღოლი;

შპიონი – ჯაშუში;

შპიონაჟი – ჯაშუშობა;

შტორმი – ქარიშხალი;

შტურვალი – საჭევარი;

შულერი – თაღლითი.

ცენტრი – შუაგული, შუა ნაწილი;

ცენტრალური – ძირითადი, მთავარი;

ცერებრალური – ტვინისა;

ცერემონიალური – საზეიმო;

ცეხი – საამქრო;

ცივილიზებული – კულტურული, განვითარებული;

ცივილისტიკა – სამოქალაქო სამართალი;

ცინიკური – დამცინავი;

ცოკოლი – ზეძირკველი.

ჰ

ჰაბიტუსი – გარეგნობა, შესახედაობა;

ჰაგიოგრაფია – წმინდანთა ცხოვრება;

ჰარმონია – კეთილხმოვანება; შეთანხმებულობა, ერთსულოვნება;

ჰარმონიული – კეთილხმოვანი; შეთანხმებული, ერთ-სულოვანი;

ჰეგემონია – ბატონობა;

ჰელიკოპტერი – შვეულმფრენი;

ჰემატომა – სისხლჩაქცევა;

ჰემორაგია – სისხლდენა;

ჰერალდიკა – გერბთმცოდნეობა;

ჰერმეტული – ჰაერშეუღწევი, ჰაერგაუვალი;

ჰეროიზმი – გმირობა;

ჰეროლდი – მაცნე, მაუწყებელი;

ჰეტეროგენული – სხვადასხვაგვარი;

ჰიბრიდი – ნაჯვარი;

ჰიდროთერაპია – წყლით მკურნალობა;

ჰიპერბოლა – გაზვიადება;

ჰობი – გატაცება;

ჰოლი – შესასვლელი;

ჰომოგენური – ერთგვაროვანი;

ჰონორარი – გასამრჯელო;

ჰორიზონტალური – თარაზული;

ჰოსპიტალი – საავადმყოფო;

ჰუმანიზმი – კაცთმოყვარეობა;

ჰუმანისტი – კაცთმოყვარე;

ჰუმანური – ადამიანური, კაცთმოყვარული;

ჰუმანურობა – კაცთმოყვარეობა.

https://learners.dict.ge/

www.dict.ge

http://techdict.ge

http://bio.dict.ge

http://mil.dict.ge

http://barbarisms.ge